

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშიძეს ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

ძირითადი საქმიანობა

შპს „ქენდი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2018 წლის 3 აპრილს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნ. ყიფშიძის ქ., N2, კორ. 1, ბ. 5. კომპანიის დამფუძნებლებია“ სულხან პავლიაშვილი 100%.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	1/1/2018	12/31/2018
ლარი საბანკო ანგარიშებზე	0	47 310
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	0	329
ნაღდი ფული სალაროში	0	6 754
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	0	6 754
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	0	54 393

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	1/1/2018	12/31/2018
სავაჭრო მოთხოვნები	0	790 895
სულ მიმდინარე მოთხოვნები	0	790 895

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშიძეს ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხვული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	1/1/2018	12/31/2018
სავაჭრო საქონელი	0	585 719
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	0	11 520
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	0	597 239

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- | | |
|-------------------------------|------|
| • ოფისის აღჭურვილობა | 3-5 |
| • კომპიუტერული ტექნიკა | 3-5 |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5-10 |
| • ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 3-5 |

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშვიძის ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 01/01/2018	0	0	0
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 01/01/2018	(0)	(0)	(0)
დანამატები	35 679	10 650	108 223
აქტივების ჩამოწერა	(0)		(0)
ცვეთა პერიოდისათვის	(4793)	(1 961)	(11438)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	0		0
ბალანსი 31/12/2018	30 886	8 689	96 785
ბალანსი 31/12/2017	0	0	0
ბალანსი 31/12/2018	30 886	8689	96 785

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშიძეს ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

	პროგრამული უზრუნველყოფა
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 01/01/2018	0
აკუმულირებული ცვეთა	(0)
დანამატი	7 754
ცვეთა პერიოდისათვის	781
ბალანსი 31/12/2018	6 973
ბალანსი 01/01/2018	0
ბალანსი 31/12/2018	6 973

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

	1/1/2018	12/31/2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	0	905 179
გადასახდელი ხელფასები	0	42 322
სულ მიმდინარე ვალდებულებები	0	947 502

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიყვიშვიძეს ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშვიძის ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

	12/31/2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	6 586 467
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(4 635 083)
სულ წმინდა შემოსავალი	1 951 384

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	12/31/2018
რეკლამის ხარჯი	25 455
საწვავის ხარჯი	288 607
კომუნალური ხარჯი	4 095
საკანცელარიო ხარჯი	11 996
დაზღვევის ხარჯი	1 595
საკონსულტაციო ხარჯი	15 298
საბანკო ხარჯი	29 289
მივლინების ხარჯი	6 609
ავტომობილის შენახვის ხარჯი	26 297
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	32 272
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	441 513

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშიძეს ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

დნართ N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2018
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივი	
ძირითადი საშუალებები	136 360
არამატერიალური აქტივები	6 973
სულ გრძელვადიანი აქტივები	143 334
მიმდინარე აქტივები	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	597 239
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	
სავაჭრო მოთხოვნები	790 895
ფული და ფულის ექვივალენტები	54 393
სულ მიმდინარე აქტივები	1 442 527
სულ აქტივები	1 585 861
კაპიტალი	
გაუნაწილებელი მოგება	456 017
სულ კაპიტალი	456 017
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	905 180
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	42 322
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	150 000
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 097 502
მიმდინარე ვალდებულებები	
გადასახდელი გადასახადები	32 342
სულ მიმდინარე ვალდებულებები	32 342
სულ ვალდებულებები	1 129 874
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1 585 861

შპს „ქენდი“
ს/კ 405262371
მის: ნიკოლოზიფშვიძის ქუჩა N2,
კორპუსი 1, ბინა 5

“Candy” LTD
I/C: 405262371
Address: N. yifshidze street N2,
Building N1, ap. 5

დანართი N 2

სრულ შემოსავლის ანგარიშგება

	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან თვითღირებულება	6 586 467 (4 635 083)
მთლიანი მოგება	1 951 384
ადმინისტრაციული ხარჯი	(441 199)
ხელფასის ხარჯი	(736 256)
ცვეთის ხარჯი	(18 973)
იჯარის ხარჯი	(128 768)
საოპერაციო მოგება	626 188
არა საოპერაციო შემოსავალი	(5655)
საპროცენტო ხარჯი	(8 183)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	(71 042)
სულ არა საოპერაციო მოგება/ზარალი	(84 880)
მოგება დაბეგვრამდე	541 306
მოგების გადასახადი	(13 502)
წმინდა მოგება	527 804

დირექტორი

ირაკლი დიასამიძე



30.09.2019